პროექტი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება №...
2022 წლის _____

ქ. თბილისი

სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების თაობაზე პროექტში ინვესტორის შერჩევის პროცესის სრულყოფილად და კვალიფიციურად ჩატარებასთან, მათ შორის შესარჩევი დოკუმენტაციის მომზადებასა და განაცხადთა შეფასებასთან დაკავშირებული მომსახურების, ასევე პროექტთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური, ფინანსური და იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, 2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურებების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.
2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

განმარტებითი ბარათი

„სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

1. ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის (შემდგომში - განკარგულების პროექტი) მიღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 9 ივნისის №1-1/212 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ძირითადი მიზანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროექტის განსახორციელებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის ახალი ტენდერის მოსამზადებლად შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების განახლება/ჩატარება, შერჩევის პროცესის დოკუმენტაციის შემუშავება, შერჩევის პროცესის წარმართვა და სხვა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის პროექტის დაწყების დღიდან, შემსყიდველ ორგანიზაციას კონსულტაციას უწევდნენ სხვადასხვა საერთაშორისო იურიდიული თუ ფინანსურ/ტექნიკური საკონსულტაციო კომპანიები (Dechert Georgia (შემდგომში შპს „ემ ჯი იურიდიული ოფისი“), White & Case, Port Consultants Rotterdam, **Maritime & Transport Business Solutions B.V.** (MTBS და ა.შ.), რომლებიც იცნობენ პროექტის ყველა დეტალს და მიზანშეწონილია, რომ სწორედ მსგავსი საერთაშორისო გამოცდილების კონსულტანტებთან მოხდეს თანამშრომლობის გაგრძელება, რაც დაზოგავს სააგენტოს დამატებით არაგონივრულ ფულად რესურსსა და დროს, ასევე შესაძლებელია ხელშეკრულებ(ებ)ი გაფორმდეს ახალ მაღალ კვალიფიკაციის/რეპუტაციის მქონე საერთაშრისო საფინანსო ან/და საკონსულტაციო ან/და იურიდიულ კომპანიებთან, რაც წარმოადგენს პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული მომსახურებების მიღება მოხდეს ყოველგვარი შეფერხებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების მინიმუმამდე დაყვანის გზით, რათა არ შეფერხდეს პროექტის განხორციელება და უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიონალური იურიდიული, საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს პროექტთან დაკავშირებული შესაძლო სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სხვა სახის რისკების მინიმიზაციას და სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალურად წარმოჩენასა და დაცვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სააგენტოს წარმატებით საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა იქონია საქართველოს მთავრობის #1053 (29.05.2017, SMP170001323), #2669 (27.12.2017, SMP170002928), #2440 (26.12.2018, SMP180002521) #832 (19.04.2019, SMP190001622) და #2745 (31.12.2019; SMP190004849; 05.01.2021; SMP200005836) განკარგულებებმა, რომელთა საფუძველზე სააგენტოს ნება დაერთო ხსენებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და აღნიშნული განკარგულებების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა სააგენტოს სრულფასოვანი საქმიანობა.

მაღალი კვალიფიკაციის, საერთაშორისო გამოცდილების მქონე მიმწოდებლებისგან საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურების მიღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. ამასთან, ამ ტიპის მიმწოდებლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ან ზოგ შემთხვევაში, მათი ცნობადობის გათვალისწინებით თავს არიდებენ ტენდერებში მონაწილეობას, რის გამოც შემსყიდველ ორგანიზაციებს უწევთ გამარტივებული შესყიდვის გზით განახორციელონ შესაბამისი მომსახურებების შესყიდვა.

მოცემულ ეტაპზე აუცილებელი საკონსულტაციო, ან/და საკონტროლო მომსახურებების კერძოდ:
66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები;
71300000 - საინჟინრო მომსახურებები;
71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები;
71600000 - ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები;
73200000 -კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები;
79100000 - იურიდიული მომსახურებები;
79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა გამოკითხვები და სტატისტიკა;
79400000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები;
90700000 - მომსახურებები ეკოლოგიის სფეროში
შესყიდვა, რომელთა ჯამური საფასური საორიენტაციოდ შეადგენს არაუმეტეს 1,000,000.00 ლარს, რომლის გადახდასაც სააგენტო განახორციელებს მისთვის გამოყოფილი 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი.

2. ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

განკარგულების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

3. პროექტის მოსალოდნელი შედეგი

განკარგულების პროექტის მიღების შემთხვევაში, სააგენტო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელებს შესაბამისი საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურებების შესყიდვას, რითიც ხელი შეეწყობა პროექტის წარმატებით და ეფექტურად განხორციელებას.

4. პროექტის განხორციელების ვადები

შესაბამისი საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურებების შესყიდვა განხორციელდება 2022 წლის განმავლობაში.

5. პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

განკარგულების პროექტი არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო დაფინანსებას ან სახელმწიფოს მიერ დამატებითი ფინანსური ან სხვაგვარი ვალდებულებების აღებას, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება სააგენტოსათვის გამოყოფილი 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

განკარგულების პროექტით გათვალისწინებული საკონსულტაციო ან/და საკონტროლო მომსახურებების ღირებულებაა ჯამში არაუმეტეს 1,000,000.00 (ერთი მილიონი) ლარი.

6. პროექტის ავტორი და წარმდგენი

განკარგულების პროექტის ავტორია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო“, ხოლო წარმდგენია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი მდგრადი განვითარები სამინისტრო.